შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (10.057)

28 იანვარი-4 თებერვალი, 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2023 წელსაც გაგრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების საერთო კრებები 1 თებერვალს დაიწყო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს მიმართა, რომ უზრუნველყონ პრიორიტეტების შერჩევაში მოსახლეობის მაღალი ჩართულობა.

ქვემოთ იხილეთ სოფლის მხარდაჭერის პროგამის შეხვედრების ჩატარების გრაფიკი:

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების, სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	ზემო ქედი	01.02.2023 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
2	არხილოსკალო	01.02.2023 წ 13 სთ	კონსულტაცია	16 000
3	ქვემო ქედი	01.02.2023 წ 14 სთ	კონსულტაცია	20 000
4	სამთაწყარო	02.02.2023 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
5	ფიროსმანი	02.02.2023 წ 13 სთ	კონსულტაცია	16 000
6	საბათლო	02.02.2023 წ 14 სთ	საერთო კრება	12 000
7	ზემო მაჩხაანი	06.02.2023 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
8	მირზაანი	06.02.2023 წ 13 სთ	საერთო კრება	16 000
9	არბოშიკი	06.02.2023 წ 14 სთ	კონსულტაცია	20 000
10	გამარჯვება	07.02.2023 წ 13 სთ	კონსულტაცია	20 000
11	ოზაანი	07.02.2023 წ 12 სთ	კონსულტაცია	16 000
12	თავწყარო (ოზაანის თემი)	07.02.2023 წ 14 სთ	საერთო კრება	10 000
13	ხორნაბუჯი	08.02.2023 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
14	ჭოეთი (ხორნაბუჯის თემი)	08.02.2023 წ 13 სთ	საერთო კრება	10 000
15	სამრეკლო	08.02.2023 წ 14 სთ	კონსულტაცია	20 000

ვაშლოვანის ნაკრძალში ახალი სამოქმედო გეგმა დამტკიცდება

ვაშლოვანის ნაკრძალს სულ მალე ახალი სამოქმედო გეგმა ექნება. როგორც გაზეთ „შირაქს“ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან აცნობეს, უკვე მომზადებულია და დამტკიცების სტადიაშია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ახალი მენეჯმენტის გეგმა. ვაშლოვანის ადმინისტრაცია განმარტავს, რომ ახალი გეგმა 9 წლის ვადითაა გაწერილი და გაცილებით მოქნილი სისტემის შექმნას გულისხმობს. გასულ წლამდე კი 6 წლიანი სამოქმედო გეგმა მოქმედებდა.

ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ ამჯერად ნაკრძალს მეტი რესურსი აქვს უფრო გრძელვადიანი გეგმების განსახორციელებლად.

„ახალი გეგმა ზოგადად ეხება ჩვენი ადმინისტრაციის უკეთ მუშაობას. იგულისხმება გაუმჯობესებული მომსახურება, მონიტორინგი და ა.შ.“ – ამბობენ ადმინისტრაციაში.

გასული წელი წარმატებული იყო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საერთაშორისოდ აღიარების საქმეში. 2022 წელს იუნესკოს საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შევიდა.

საბათლოში იდეათეკა გაიხსნა

„ქართული წიგნის ინსტიტუტთან“ ერთად „საქართველოს ბანკმა“ საზღვრისპირა სოფელ საბათლოში იდეათეკა გახსნა. ამიერიდან საბათლოს საჯარო სკოლის 66 მოსწავლეს, სადაც 50 ეთნიკურად სომეხი და 16 ქართველი ბავშვი სწავლობს, ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ მრავალფუნქციური და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკით, კომპიუტერებით, პროექტორებითა და სხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსით.

გახსნას „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი ესწრებოდნენ.

იდეათეკები ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილებში იხსნება, მათ შორის საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში. ერისიმედი და საბათლო აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე ეკომიგრანტებით დასახლებული სოფლებია, საბათლოსა და ლამბალოში კი სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ.

კახეთის ამ სამ სოფელში სასწავლო სემესტრი ბავშვებისთვის ახალი მიზნებით, ინტერესებით და შესაძლებლობებით იწყება.

„ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ არაფორმალური და ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობას საზღვრისპირა, მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ასევე, გავზარდოთ საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა და წიგნიერება. შევძლოთ, მოვახდინოთ კითხვის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების მოტივაცია და შევუქმნათ ჯანსაღი, კომფორტული საგანმანათლებლო გარემო. ამ დროისთვის უკვე 7 000-ზე მეტ მოსწავლეს აქვს წვდომა თვითგანვითარებისთვის საჭირო რესურსებზე. ეწყობა ყოველდღიური გაკვეთილები, ჯგუფური პრეზენტაციები და ონლაინ შეხვედრები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. პროექტი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების მეტ ჩართულობას. ჩვენ ვაგრძელებთ საგანმანათლებლო პროექტების აქტიურ განხორციელებას, რათა მეტმა ახალგაზდამ შეძლოს პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება“, - განაცხადა საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა, არჩილ გაჩეჩილაძემ.

ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის კლუბის წევრებს და თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მოსწავლეებმა ნიკოლოზ ჯანიაშვილს მათ მიერ მომზადებული პროექტი წარუდგინეს, რაც ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე მიუსაფარი ცხოველებისთვის სახლების ჩადგმას გულისხმობს. ახალგაზრდებმა მერს აღნიშნული იდეის განხორციელებაში დახმარება სთხოვეს. პროექტით ისინი „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოსწავლეებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა, კონკურსში წარმატება უსურვა და ამ კეთილი საქმის განხორციელებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

მოსწავლეებთან ერთად შეხვედრას პირველი საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, პროექტის ხელმძღვანელი ეკა სეფიაშვილი და რუსული ენის პედაგოგი სვეტლანა ლომიძე დაესწრნენ.

C M Y K

დამტკიცდა „კარგი მასპინძლის“ ხარისხის ეტიკეტის და სერტიფიკატის მინიჭების წესი



ჩატარდა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის მორიგი საერთო კრება. ასოციაციის წევრებმა მოისმინეს და დაამტკიცეს დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარის მანანა ყატაშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კრებაზე განიხილეს დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრთა ტურისტული პროდუქტებისთვის „კარგი მასპინძლის“ ხარისხის ეტიკეტის და სერთიფიკატის მინიჭების წესი, აირჩიეს სამუშო ჯგუფის წევრები და დაამტკიცეს წარმოდგენილი პროექტი. ეს წესი უკვე ამოქმედდა 2023 წლის 20 იანვრიდან.

ტურისტული პროდუქტების ხარისხის პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, მათი დახმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, ვიზიტორებისთვის ხარისხიანი სერვისის/პროდუქტის შეთავაზების მხარდაჭერა, ახალი ბიზნესის/ სერვისების შექმნის წახალისება, ვიზიტორთა რიცხვის ზრდა, სერვისის მიმწოდებელთა მიერ ადგილობრივი და უცხოელი (მათ შორის, ევროპელი) მომხმარებლების მოლოდინების უკეთესად გაგება, მათი საჭიროებების დაკმაყოფილება და შესაბამისი სერვისების შექმნა, რეგიონის მარკეტინგში ევროპელი ვიზიტორებისთვის მისაღები ინფორმაციის გამოყენება, ასევე - სისტემატური ზრუნვა ხარისხის გაუმჯობესებაზე და პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

ახლა ასოციაციის საიტიდან dtda.ge უკვე შესაძლებელია ტურისტული ბიზნესების მიერ თვითშეფასების პროცედურის გავლა და კრიტერიუმების დადგენილი ნორმის დაკმაყოფილების შემთხვევაში ასოციაციაში მიმართვა „კარგი მასპინძლის“ ხარისხის ეტიკეტის და სერთიფიკატის მისაღებად. ასოციაციის აქტიური წევრები აგვისტოში მიწვეული არიან ესტონეთში.

კრებაზე წევრებმა ასევე დასახეს 2023 წლის ღონისძიებების გეგმა და დეტალურად გაიარეს ჩასატარებელი აქტივობები.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის გამგეობა

გურჯაანსა და დედოფლისწყაროში შშმ პირებს ეტლები გადაეცათ

გურჯაანსა და დედოფლისწყაროში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლის მქონე პირებს ეტლები გადაეცათ.

ღონისძიება გურჯაანის ტექნოპარკში გაიმართა. 6 ბენეფიციარს მათ საჭიროებებზე მორგებული ეტლი ორგანიზაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ უსასყიდლოდ გადასცა.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეულმა სპეციალიტებმა, რეგიონის სოციალურ მუშაკებს, მათ ვისაც შშმ პირებთან პირდაპირი კონტაქტი აქვთ, ტრენინგი ჩაუტარეს.

საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის ახალი პროგრამა იწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ახალი პროგრამა იწყება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს, კერძოდ: აშენდება 330 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 555 არსებულ ბაღს.

აღნიშნული საკითხი, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ მთავრობის სხდომაზე განიხილეს. ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.3 მილიარდი ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 100 მილიონი ლარი 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია.

სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს, ტენდერები უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

ახალი პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება. მოეწყობა ბაღების შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. ბაღები სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის. საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება ადგილობრივი თვითმართველობების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და პრიორიტეტების მიხედვით იგეგმება.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია გრძელდება

2023 წელს, ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე აქტიურად გაგრძელდება. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, 2023 წელს ქართული ღვინო ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ჩინეთში, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში აქტიურად იქნება წარმოდგენილი. აღნიშნულ სტრატეგიულ ბაზრებზე სხვადასხვა მიზნობრივ ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციები განახორციელებენ.

ამასთან ერთად, ქართველი მწარმოებლები მონაწილეობას მიიღებენ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენაში.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 14 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატება 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს.

აღნიშნული თანხიდან, 2 მილიონი ლარი მიმართულია „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამისკენ“, რომლის ფარგლებში მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსება მხოლოდ იმ კომპანიებისთვის განხორციელდება, რომლებიც ექსპორტს პრიორიტეტულ ბაზრებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებენ, გარდა დსთ-ს ქვეყნებისა და, ამასთან ერთად, აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ სხვა პირობებს.

პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები გაიმართება საქართველოს მასშტაბით, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ღვინის სამომხმარებლო კულტურის გაზრდისთვის.

მიმდინარე წელს, პირველი ღონისძიება, სადაც ქართული ღვინო იქნება წარმოდგენილი, საერთაშორისო გამოფენა „VinExpo Paris”-ია, რომელიც 13-15 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაიმართება. გამოფენაში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია მიიღებს მონაწილეობას. მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა ზრდის ქართული ღვინის ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით და მეწარმეებს ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების შესაძლებლობას აძლევს.

ახალი სიცოცხლე თუ დასასრულის დასაწყისი?

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შიდა პარტიულ არჩევნებში ლევან ხაბეიშვილმა გაიმარჯვა და პარტიის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა. მან ამომრჩეველთა ხმების 52, ხოლო ნიკანორ მელიამ კი - 40% მიიღო.

ხაბეიშვილის მომხრეთა განცხადებით, პარტიის განახლება კარგია და ეს პროცესი ნაციონალურ მოძრაობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ხაბეიშვილს პირველმა მიულოცა გამარჯვება და თანამშრომლობის ხელიც ღიად გაუწოდა, პარტიის თანამდებობის პირებმა ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს პოსტები.

პარტიაში მიმდინარე ცვლილებებით უკმაყოფილება არ დამალა ძველმა ნაციონალმა ნუგზარ წიკლაურმა. მისი განცხადებით, ეს პროცესები ხელს შეუწყობს არა წინსვლას, არამედ პარტიის რეგრესს.

მის პოზიციას იზიარებენ მმართველ პარტიაშიც, სადაც ამბობენ, რომ ეს არის ნაციონალური მოძრაობის დასასრულის დასაწყისი.

ანა ნაცვლიშვილი: „ნაციონალურ მოძრაობაში“ გაიმარჯვა წარსულმა - პარტიასთან, რომელიც წარსულში ბრუნდება, თანამშრომლობის მიზანს ვერ ვხედავთ“.

პაატა მანჯგალაძე: „არც ერთი გაერთიანების წინააღმდეგი არ ვართ, მთავარია, ევროპაში ინტეგრაციის, „ქართული ოცნების“ ჩამოშორების საკითხზე შეთანხმება, ვფიქრობ „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ღირებულებების ერთგულია და საერთო ენას ბევრ საკითხზე ვიპოვით“.

სალომე სამადაშვილი: „ძველმა ძალებმა გაიმარჯვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტია კიდევ უფრო ჩაკეტილი გახდება - ნულის ტოლია შანსი, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ შემადგენლობით ამომრჩეველის რაოდენობა გაზარდოს, შეიძლება რაღაც ნაწილი დაკარგოს“.

პარტიის ჩრდილოვან მმართველობაზე საუბრობენ როგორც მმართველ პარტიაში, ასევე ოპოზიციაშიც. „ფაქტია, რომ ერთ დროს საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური პარტიის ნანგრევებზე იქმნება რევოლუციური კომიტეტი“, - ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, კეზერაშვილი შეარჩიეს რევოლუციური გეგმის აღმსრულებლად, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დასახა, ხოლო კეზერაშვილმა თავის წარმომადგენლად ხაბეიშვილი შეარჩია.

„ფაქტობრივად, თვალყურს ვადევნებთ პროცესს, როგორ მიაქვს კონკრეტული პარტია კეზერაშვილს თავის დაქვემდებარებაში, ხაბეიშვილი შეარჩია როგორც თავისი წარმომადგენელი, წინ წამოსწია და მხარი დაუჭირა. არ ვიცი, როგორ ჩატარდა არჩევნები, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ დროს საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური პარტიის ნანგრევებზე იქმნება რევოლუციური კომიტეტი, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური და არაოფიციალური განცხადებები მეტყველებს იმაზე, რომ აქ საუბარი არ იქნება იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველო სხვადასხვა მიმართულებით. საუბარია იმაზე, თუ როგორ მოხდეს დესტაბილიზაცია. კეზერაშვილი შეარჩიეს საუკეთესო აღმსრულებლად ამ რევოლუციური გეგმის, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დასახა, მაგრამ რამდენად იქნება ეს ტრადიციული „ნაციონალური მოძრაობა“ ტრადიციული ადამიანების დაქვემდებარების ან ხელმძღვანელობის ქვეშ, ამ შეკითხვებს პასუხს გასცემს მომავალი. რეალურად, ამომრჩევლის უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ კეზერაშვილი, უფრო სწორად ხაბეიშვილი, უნდა ჩაუდგეს სათავეში გაერთიანებას, ერთ დროს პოლიტიკურ გაერთიანებას,“ - განაცხადა ვოლსკიმ.

„ამაზე მძიმე განაჩენს საკუთარი თავისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ გამოიტანდა, „ღირსეული“ თავმჯდომარე „ღირსეულ“ პოლიტიკურ ძალას „ღირსეული“ ფინიშისკენ წაიყვანს“, - ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით მათიკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილის არჩევას.

მათიკაშვილის თქმით, „იმ გზას, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდი ხანია აქვს აღებული, ჭაობში ყოფნის და საბოლოოდ თვითლიკვიდაციის, „ბრწყინვალედ“, „ღირსეულად“ შეასრულებს ის კომიკური თავმჯდომარე, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აირჩია. ამ დესტრუქციული პოლიტიკური ძალის დრო თითქმის ამოწურულია და ამ არჩევნების შედეგმა, რომელსაც ირონიულად თუ ვუწოდებთ არჩევნებს, თორემ სინამდვილეში რა ხდებოდა, ვინ ვის აძლევდა ხმას და ვინ ვის ემუქრებოდა კომპრომატებით, ცალკე საკითხია, თუმცა, ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ უმდაბლესი ელექტორალური მხარდაჭერა აქვს ამ პარტიას და ის ხელმძღვანელობა ჰყავს პარტიას, რაც ეკუთვნის და იმსახურებს, მთელი თავის შინაარსით, დესტრუქციით და კომიკურობით, რომელსაც ახალი თავმჯდომარე ატარებს”, - განაცხადა მათიკაშვილმა.

რაც შეეხება არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენის თაობაზე იაგო ხვიჩიას მიერ გაკეთებულ განცხადებას, მათიკაშვილი აღნიშნავს, რომ თავად „ნაციონალური მოძრაობის“ ჯგუფის წევრების გარდა, მასში მონაწილეობა არავის მიუღია და არც ზეგავლენა მოუხდენია.

მამუკა ხაზარაძე: „ახალი ძალების გაერთიანების დროა, ჩრდილოვანი მმართველობა უნდა დამთავრდეს“.

გიორგი ვაშაძე: „ვიმედოვნებ, რომ ოპოზიციურ ფლანგზე დასრულდება ურთიერთთავდასხმები, ურთიერთბრალდებები და რაღაც კლიშეების დამკვიდრება. ვიმედოვნებ, რომ ის ახალი გუნდი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილის არჩევის შემდეგ ჩამოყალიბდება, სწორედ ამ გზას აირჩევს. ლევან ხაბეიშვილმა პირობა დადო, მათ შორის იმ ამომრჩეველთან, რომელმაც მხარი დაუჭირა, რომ პარტიის მართვა გამჭვირვალე იქნება. თვითონ საუბრობდა, რომ მერაბიშვილი და სხვები კი არ მართავენ პარტიას, არამედ, ის ადამიანები, ვინც კონკრეტულად ჩაიბარებს პარტიას. დაველოდოთ ამ პროცესს - ყრილობა აქვთ ჩასატარებელი, პოლიტიკური საბჭოს არჩევნებია. არ მინდა გავავლო წითელი ხაზი იმიტომ, რომ ვიღაცამ რაღაც თქვა. არ არის ეს სწორი მიდგომა“.

ექსპერტთა შეფასებით კი, ნაციონალური მოძრაობის დასუსტება სხვა ოპოზიციური ძალების გაერთიანებასა და გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

„საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ახალ ფაზაზე გადადის“ – აცხადებენ ექსპერტები და პოლიტიკურ ორბიტაზე მრავალ სიურპრიზს აანონსებენ.

მოამზადა
ინგა ჯიოლაშვილმა

დედოფლისწყაროს ციფრებში

კიდევ ერთი წელი დასრულდა... გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ეცადა გასული წლისთვის თვალი კიდევ ერთხელ გადაევლო და მისი პლიუს-მინუსები გაეანალიზებინა. ვეცადეთ, სტატისტიკური მონაცემები ყველა სფეროდან მოგვეგროვებინა და საერთო სურათი დაგვედო.

რითი შევა 2022 წელი დედოფლისწყაროს ისტორიაში? გთავაზობთ მონაცემებს, რომლებიც ასე ერთიანად თავმოყრილი და დეტალურად დათვლილი არცერთ უწყებას არ აქვს.

„საქსტატის“ ცნობით, ქალაქ დედოფლისწყაროში 5 600 ადამიანი ცხოვრობდა 2022 წელს, მაშინ როცა 2002 წელს 7 700 იყო აღრიცხული, 2014-ში კი 5 900.

2022 წელს დედოფლისწყაროში 116 ახალშობილი დარეგისტრირდა, რომელთა ორივე მშობელი დედოფლისწყაროშია ჩაწერილი და ახალშობილებზე მერიამ ერთჯერადად 300 ლარი გასცა. წინა წლებში ახალშობილთა მაჩვენებელი უფრო მეტი იყო და 200-ს აღემატებოდა.

მოქმედი და აქტიური იურიდიული სუბიექტების (ორგანიზაციების) რაოდენობა: 2017 წელი — 634; 2018 წელი — 645; 2019 წ — 677; 2020 წ — 689; 2021 წ — 746; ჯამში რაიონის მასშტაბით რეგისტრირებული იურიდიული სუბიექტები: 2017 წელი — 2 345; 2018 წელი — 2 523; 2019 წ — 2 689; 2020 წ — 2 820; 2021 წ — 3 022.

ჯანდაცვა

2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა შემდეგი ინფექციური დაავადებები: წითელა -3; ჩუტყვავილა -18; ქუნთრუშა -1; დიარია-12; ბრუცელოზი-5; საკვებისმიერი მოშხამვა -4; ლეიშმანიოზი -1; ჰეპატიტი A -4; ჰეპატიტი B- 5 , ასკარიდა -15; ენტერობიოზი -107; ქვეწარმავლის ნაკბენი -3; ტუბერკულოზი -3.

გასულ წელს ბოტულიზმის 2 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის ერთი მოქალაქე გარდაიცვალა.

2022 წელს დაფიქსირდა ზედა სასუნთქი გზების ინფექციები. წლის განმავლობაში სულ დაფიქსირებულია 503 შემთხვევა, მათ შორის გრიპი — 41. შემოტანილი იყო 750 დოზა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, რითაც აიცრა 105-სამედიცინო პერსონალი, 15 - **C** ჰეპატიტით დაავადებული, 150 - სამოც წელს გადაცილებული, 12 - ორსული, ბაღისა და სკოლის პედაგოგი-143.

2022 წელს დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს 310-მა ცხოველის მიერ დაკბენილმა მოქალაქემ მიმართა, რომელთაც ჩაუტარდათ ანტირაბიული მკურნალობის კურსი. მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

2022 წელს არ დაფიქსირებულა მალარიის შემთხვევებიც, რაც ჩატარებული საპროფილაქტიკო ღონისძიებების შედეგია. 2022 წელს სულ გამოკვლეულია 150,540 ჰა. წყალსატევი, მათ შორის ანოფილოგენური 95,8 ჰა. მალარიის გამომწვევის ნაჩეკების გასანადგურებლად დაგამბუზირდა 80,7 ჰა წყალსატევი, 82 000 მ/კვ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა კი დამუშავდა სოლფაკის ხსნარით.

კოვიდი

2022 წელს დედოფლისწყაროში კოვიდგართულებით 19 ადამიანი გარდაიცვალა, 2021 წელს - 50, ხოლო 2020-ში - 12. ჯანდაცვის ცენტრის ცნობით, პანდემიის დაწყებიდან დღემდე კორონავირუსის სხვადასხვა შტამით სულ 81 მოქალაქეა გარდაცვლილი. 2022 წელს კოვიდინფექცია დაუდასტურდა 3554 ადამიანს, 2021 წელს - 3874, ხოლო 2020-ში 667 კოვიდ დადებითი შემთხვევა იყო. სულ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - 8095 კოვიდ დადებითი მოქალაქეა აღრიცხული.

წლის დანაკარგი – ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს დიმიტრის გარდაცვალებაა. 2022 წლის 23 იანვარს კორონავირუსთან ბრძოლაში 46 წლის ასაკში დამარცხდა მეუფე დიმიტრი, რომელიც ვირუსს რამდენიმე კვირის განმავლობაში ებრძოდა.

სასამართლო

დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში 2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის მდგომარეობით შესულ და განხილულ საქმეთა სტატისტიკა:

სამოქალაქო სამართლის საქმე: შევიდა – 204 საქმე (სულ წარმოებაში იყო 335); დამთავრდა - 186 საქმე (მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით - 18 საქმე, წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა – 153 საქმე; შეწყდა – 4, დატოვებულია განუხილველი –11 საქმე);

ადმინისტრაციული სამართლის საქმე: შევიდა – 5 საქმე (სულ წარმოებაში იყო 9); დამთავრდა – 3 (დატოვებულია განუხილველად–3;)

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: შევიდა – 98 საქმე (მათ შორის საჩივარი -5); დამთავრდა - 86 საქმე (სიტყვიერი შენიშვნა -36, ჯარიმა-47, შეწყდა-3)

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შევიდა 12 განცხადება. 7 მოქალაქეთაგან, ხოლო 5 არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მასმედიიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან. 10 დაკმაყოფილდა, 1 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო ერთიც არ დაკმაყოფილდა.

საზღვრის კვეთა (სამთაწყარო)

პანდემიის დაწყებიდან დღემდე სამთაწყაროს გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა საზღვრის კვეთის მონაცემები არ არის.

მუზეუმები

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 2022 წელს 1500-მდე სტუმარი დაფიქსირდა, ხოლო ხალხთა მეგობრობის მუზეუმში – 935.

ბიბლიოთეკა

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გასულ წელს – 1314 მკითხველი დარეგისტრირდა, საიდანაც 480-მა საბავშვო ბიბლიოთეკით ისარგებლა.

ტურიზმი

ტურისტების სტატისტიკა - 2022 წლის საანგარიშო პერიოდში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს 3900 ვიზიტორი ეწვია, რაც 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 3.7%-ითაა შემცირებული. 2021 წელს 4 059 ვიზიტორი იყო, თუმცა შემოსავლები გაზრდილია და ეს გამოწვეულია ვიზიტორთა მიერ პარკში ღამისთევის რაოდენობის ზრდით. ვიზიტორების 50.8% საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 49.2%უცხო ქვეყნის მოქალაქე. „შირაქმა“ უცხოელი სტუმრების სტატისტიკაც მოიპოვა. ტურიზმში დასაქმებული ადამიანები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გასულ წელს რუსეთიდან შემოსული მოქალაქეების რეკორდულად მატება დედოფლისწყაროს ტურისტულ ობიექტებზე სულაც არ ასახულა. ამას ციფრებიც მოწმობს: 2022 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს უცხო ქვეყნების 1915 მოქალაქე სტუმრობდა. მათ შორის ხუთეულში მოხვდნენ გერმანიის, პოლონეთის, ნიდერლანდების, ბელგიის და რუსეთის მოქალაქეები.

გერმანია —401
პოლონეთი — 368
ნიდერლანდები — 257
ბელგია — 92
რუსეთი — 90

ვიზიტორთა 60% მამრობითი სქესისაა, ხოლო 40%-მდედრობითი. წინა წლის მონაცემებთან შედარებით 2022 წელს გაიზარდა მამრობითი სქესის ვიზიტორთა რაოდენობა. 2022 წლის საანგარიშო პერიოდში ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 71 878 ლარს, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 11.8%-ით მეტია. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე მეტი შემოსავალი მიღებული იყო შესვლის ღირებულებით. ასევე მოთხოვნადია ბუნგალოებისა და საკარვე ადგილების გაქირავება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის მიმდებარედ ტურიზმის სფეროში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობაც. ასევე გაიზარდა საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტებისა და მაღაზიების რაოდენობა.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

არბოშიკში ჩამონგრეული მესერის მშენებლობა იწყება

სოფელ არბოშიკში ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედელი გამაგრდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერიაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ჩამონგრეული კედლის გამაგრებით სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ეი დი ეს ქონსთრაქშენ“-ი შეასრულებს, რომლის წარმომადგენლებიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს სოლომონ ღორაშვილს შეხვდნენ. არბოშიკში ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის სოლომონ ღორაშვილის განმარტებით, ტენდერი 314 306 ლარზე იყო გამოცხადებული, თუმცა კომპანია ვალდებულებას 299 696 ლარად შეასრულებს, რაც საბიუჯეტო თანხებს დაზოგავს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების კონკურსში გამარჯვებული

დედოფლისწყაროელი სტუდენტის, ერეკლე მოდებაძის პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა და ავტორმა ფულადი პრიზი მიიღო. IT პროგრამების სტუდენტებისთვის ჩატარდა ჰაკათონი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა ChatGPT-ის გამოყენებით იმუშავეს. ჩეთბოტი სულ რამდენიმე თვეა გაეშვა, მუდმივად ვითარდება და უკვე დიდი ინტერესი გამოიწვია. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

გამარჯვებული პროექტი, რომლის ინიციატორებსაც ფულადი ჯილდო გადაეცათ, **BTU**-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სტუდენტების, ერეკლე მოდებაძისა და შოთა ლომაძის მიერ შექმნილი **Agro AI** გახდა. **Agro AI** წარმოადგენს **Gpt**-3-ის მოდელზე დაფუძნებულ პლატფორმას, რომელიც ფერმერებსა და ნებისმიერ მსურველს ეხმარება ლოკაციის მიხედვით მიიღოს რჩევა - რომელი მცენარეული კულტურა მოიყვანოს, რა თანხა დაუჯდება მოყვანა, უდგენს რამდენიმე წელზე გაწერილ ბიზნეს გეგმას, რეკომენდაციას აძლევს როგორ დათესოს მცენარეები, მოუაროს, აიღოს მოსავალი და სხვა.

ერეკლე მოდებაძე: „გამარჯვების სურვილი და იმედი, რა თქმა უნდა, თავიდანვე გაგვაჩნდა, თუმცა, ამის გარანტია ნამდვილად არ გვქონია. მითუმეტეს, რომ სხვა გუნდების პროექტებიც ძალიან საინტერესო იყო. მინდა აღვნიშნო, რომ ჰაკათონში მონაწილეობა თითქმის ყოველთვის ღირს, რადგან უამრავ სიახლეს ვეცნობით, ვეხებით სრულიად ახალ ტექნოლოგიებს, ვიძენთ ახალ მეგობრებსა და ცოდნას.

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს პლატფორმას, პროექტის გაგრძელებას ნამდვილად ვაპირებთ. ამ გამარჯვებამ უფრო მეტი თავდაჯერება მოგვცა და დაგვარწმუნა, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ამჟამად პროტოტიპის განვითარებაზე ვმუშაობთ და გვჯერა, რომ შევქმნით პროდუქტს, რომელიც თუნდაც 1 ადამიანს მაინც მოუტანს სარგებელს“, – აღნიშნავს გამარჯვებული გუნდის მონაწილე, ერეკლე მოდებაძე.

გამარჯვებული გუნდის გარდა, ჰაკათონის ფარგლებში განსაკუთრებული დაინტერესება მოიპოვა **BTU**-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამის მეორე კურსის სტუდენტმა, მარიამ ჯვარშეიშვილმა, რომელმაც **Gpt**-3-ის გამოყენებით ბიზნეს გეგმის გენერატორი შექმნა.

სტუდენტები სამომავლოდ აპირებენ ინიციატივების განვითარებას, რისთვისაც, საწყის ეტაპზე საკმარისი დაფინანსების უზრუნველყოფას შეეცდებიან. სტუდენტური ჰაკათონის გარდა, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული რევოლუციური პლატფორმის გარშემო, **BTU** წლის განმავლობაში კვლევით პროექტებს, პანელურ დისკუსიებს, ექსპერიმენტებს, სტუდენტურ კონკურსებს, ახალი ციფრული პროდუქტების შექმნასა და სხვა აქტივობებს გეგმავს.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში ქართული თეატრის დღე აღინიშნა

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ქართულ თეატრს 1850 წლის 14 იანვარს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში. წითელწყაროში კი თეატრალური ცხოვრება 1940-იანი წლებიდან იწყება.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონის“ მსახიობები (ხელმძღვანელი ცარო მარტიაშვილი), ვოკალური ჯგუფი „ედელვაისი“ (ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი), ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ცეროდენას“ აღსაზრდელები (ხელმძღვანელები - ნინო ლოლაშვილი და ხათუნა ცისკარაული), თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების სტუდია „ვარსკვლავების“ მოცეკვავეები (ხელმძღვანელი ნათია ცინცაძე).

1930-იან წლებში წითელწყაროში თეატრალური კოლექტივი მოქმედებდა, ისინი აგიტმხატვრული ბრიგადის ფუნქციასაც ითავსებდნენ და წარმოდგენებს მინდვრად მართავდნენ. პირველი რეჟისორი მიშა მენთეშაშვილი იყო. წითელწყაროს სახელმწიფო თეატრი 1944 წლის ივნისში გაიხსნა, დირექტორი და რეჟისორი აკაკი ინჯია იყო, რომელმაც რამდენიმე მსახიობი თბილისიდან ჩამოიყოლა.

თეატრალური ცხოვრება რაკი დედოფლისწყაროში 2013 წელს ცარო მარტიაშვილის თაოსნობით აღდგა, „შირაქი“ სწორედ მას შეხვდა.

ცარო მარტიაშვილი: „დედოფლისწყაროში თეატრი გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან არსებობს. თავდაპირველად იყო სახელმწიფო თეატრი, რომელიც შემდეგ დაიშალა. მერე იყო მოყვარულთა დასი, რომელთაც „სახალხო თეატრის“ წოდება მიენიჭათ და სამოყვარულო დასის ბაზაზე 1981 წლიდან უკვე „სახალხო თეატრი“ მოქმედებდა. ცხრა წელი იარსება და საკმაოდ წარმატებულად. შემდეგ უკვე ბედის უკულმართობის და 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების გამო თეატრი დაიშალა.

– გავიხსენოთ იმ ადამიანების წვლილი, რომლებმაც თეატრის დაფუძნებასა და განვითარებაში წვლილი შეიტანეს...

– ამ რაიონს დიდი თეატრალური ტრადიციები აქვს და ძალიან ბევრი კარგი ადამიანი მოღვაწეობდა ამ სფეროში. არ შეიძლება ხაზგასმით არ ვახსენო ქალბატონი ნინა ყოჩიაშვილი, რომელიც დედოფლისწყაროს თეატრალური ცხოვრების მემატიანე გახლდათ და ყველაფერი ზეპირად ახსოვდა. თარიღები ზედმიწევნით იცოდა, როდის ჩამოყალიბდა თეატრი, რამდენი კაცი იყო დასში, ვინ რომელ როლს თამაშობდა და სად მონაწილეობდა, ბევრი საინტერესო დეტალი იცოდა, ამიტომაც ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში ძალიან დიდია ნინა დეიდას დანაკლისი. დღეს ძალიან ვნანობ, რომ ბევრი რამ, რაც **ნინა ყოჩიაშვილმა** იცოდა, ჩანაწერების სახით არ შემოგვრჩა და მისი საინტერესო მონათხრობები მხოლოდ მეხსიერებაში გვაქვს.

ამ სცენაზე დავით ერისთავის „სამშობლო“ დაიდგა, სადაც დედოფლისწყაროს მთელი ელიტარული საზოგადოება მონაწილეობდა. უნდა გავიხსენოთ **ლუდვიგ ჯალიაშვილი, დავით სინჯიაშვილი, მერი მეხრიშვილი, ლია დარაშვილი, კარლო გოგაშვილი, ირაკლი კიკილაშვილი.** ძალიან ბევრი იყო და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და შეიძლება ყველა მათგანი ვერც გავიხსენო, იმდენად ბევრი კარგი ადამიანი იყო დასში. მთავარი ისაა, რომ ისინი ძალიან სასიკეთო და კარგ საქმეს ემსახურებოდნენ ამ რაიონში და თითოეულმა მათგანმა დიდი კვალი დატოვა კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში.

– არცერთ მათგანს არ ჰქონდა სამსახიობო განათლება და გამოცდილება...

– ზოგადად მინდა ვთქვა, რომ დედოფლისწყაროში ყოველთვის მრავლად იყვნენ თეატრის მოყვარული და თეატრალი ადამიანები. როცა პირველად წითელწყაროს სახელმწიფო თეატრი შეიქმნა, ეს ალბათ სახელმწიფო დავალება იქნებოდა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ შემდეგ უკვე მოხალისეთა დასი რომ დაარსდა, ეს მთლიანად მასების სურვილით მოხდა, თვითონ ადამიანებში გაჩნდა თეატრის შექმნის მოთხოვნა. ამიტომაც წარმატებული გამოდგა მათი ეს ნაბიჯი. ვინც სპექტაკლებში მონაწილეობდა, მათ ცხადია პროფესიული განათლება არ ჰქონიათ და მოხალისეობრივად ახერხებდნენ სამსახიობო ოსტატობის გამოვლენას. ამის მიუხედავად, მათი თამაშის ხარისხი ძალიან კარგი იყო. მე რაც მათი სპექტაკლები მაქვს ნანახი, ყველა მაღალი დონის გახლდათ. მაგალითად, დავით ერისთავის „სამშობლო“ არ არის პატარა სპექტაკლი



და სირთულის მიუხედავად, ძალიან კარგად დაიდგა.

– როგორ ხერხდებოდა ხარისხის მიღწევა პროფესიული განათლებისა და უნარ-ჩვევების გარეშე?

– სიყვარული იყო, დიდი სიყვარული საკუთარი საქმის მიმართ და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა მაყურებლის წინაშე. სწორედ სიყვარულმა დაადგმევინა რეჟისორს, მსახიობს, თუ ყველას, ვინც ამ სცენაზე სპექტაკლებს ქმნიდა.

2013 წლის 26 ივნისს დედოფლისწყაროში დაფიძდა ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. დღეს სწორედ „ბერიკონის“ ახალი თაობა იდგა სცენაზე, რომელთაც ძალიან კარგად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და გამართულად წარდგნენ მაყურებლის წინაშე, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს. ქართული თეატრის დღის აღნიშნვა 2020 წლის 14 იანვარს დავიწყეთ, მერე პანდემიის გამო შევფერხდით და წელს მეორედ მოგვეცა შესაძლებლობა, ეს დღე გვეზეიმა, რომელმაც საახალწლო ღონისძიების სახეც მიიღო. რაკი ძველით ახალ წელს ემთხვევა, უფრო სახალისოდ და კარგად შეიძლება აღინიშნოს ეს დღე. მნიშვნელოვანია, რომ თეატრის დღე ასე ხაზგასმით აღინიშნებოდეს დედოფლისწყაროში. ახალგაზრდული თეატრის შექმნის იდეაც ბავშვებს ეკუთვნით. პირველი ინიციატორები სწორედ პირველი თაობის „ბერიკონელები“ იყვნენ, რის გამოც საკმაოდ წარმატებული სტარტი გვქონდა.

– მომავალში რას ჰპირდება „ბერიკონი“ მაყურებელს?

– წელს საიუბილეო წელი გვაქვს, 10 წლის გრანდიოზულად აღსანიშნავად ვემზადებით. უპრეცედენტო რამ გვინდა მოხდეს და სცენაზე ყველა თაობის „ბერიკონელი“ ერთად დავაყენოთ. სკოლის დამთავრებისა და სტუდენტობის გამო თეატრი არაერთმა თაობამ დატოვა და ვეცდებით ამ ზაფხულს ყველა მათგანი დავაბრუნოთ სცენაზე. ტრადიციულად, ისევ ივნისში გვექნება საიუბილეო საღამო.

გარემოსდაცვითი განათლების მსოფლიო დღე

26 იანვარი გარემოსდაცვითი განათლების მსოფლიო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ღონისძიებები გაიმართა დედოფლისწყაროს სოფლებში.

სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის ეკოკლუბმა სტუმრად მოიწვია შავი მთის ეროვნული პარკის რეინჯერი, ბატონი ზურაბ ამირიძე. მან უამრავ კითხვას უპასუხა, რომელიც ეხებოდა დედოფლისწყაროს დაცულ ტერიტორიებს. ბ-მა ზურაბმა მოსწავლეებს საჩუქრად გადასცა ბუკლეტები, წიგნები და რუკები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მადლობა გადაუხადა ეკოკლუბის წევრებს ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის ორგანიზებისთვის.

„სკოლის ეკოკლუბის, „მარადმწვანე“-ს წევრების ინიციატივით ეკოკლუბის ხელმძღვანელი მე ვარ . კლუბი მუშაობს 2020 წლიდან“ - უთხრა „შირაქს“ არხილოსკალოს ეკოკლუბის ხელმძღვანელმა ნათელა ბუთხუზმა.

ცნობილია, რომ ყველანაირი მსოფლიო კვლევის თანახმად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ყველაზე მეტად მიდრეკილია გაუდაბნოებისკენ, რაც კლიმატის ცვლილებაზე აისახება. ეს კი ადგილზე არსებობას დღითიდღე შეუძლებელს გახდის. გარემოსდაცვითი ღონისძიებები ხელს შეუწყობს გაუდაბნოების პროცესების შენელებას. ადამიანის მიერ გარემოსადმი მეგობრული დამოკიდებულებით შევძლებთ გარემოზე მავნე ზეგავლენა შევარბილოთ. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ნიადაგის დეგრადირებას ბევრად შეამცირებს და მოსავლიანობა და წყლის რესურსიც აღარ შემცირდება.

ეკოკლუბის ბუბუები

ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლაში მოქმედი ეკოკლუბ „კამბისენეს“ ლიდერები და აქტივისტები შეხვდნენ ორგანიზაცია CENN-ის კოორდინატორს კახაბერ სუხიტაშვილს. შეხვედრაზე მოსწავლეები გაეცნენ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის პირობებს, გასული წლების გამოცდილებას, მიიღეს რჩევები საკონკურსო აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით.

შეხვედრის დროს ისაუბრეს იმ უნარებზე, რასაც ავითარებს მოსწავლეებში მსგავს ინტერვენციებში მონაწილეობა-გუნდურობა, ლიდერობა, პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება. ასევე მოისმინეს რჩევები პროფორიენტაციის კუთხით, სამომავლო პროფესიის არჩევისას ოცდამეერთე საუკუნის პროფესიებისა და რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინების აუცილებლობაზე.

კლუბის ხელმძღვანელმა მაია ლაპიაშვილმა აღნიშნა, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში საკლუბო ინიციატივების განხორციელებისას თვითმართვისა და თვითრეგულაციის უნარების განვითარება, პასუხისმგებლობის აღება და ინდივიდუალური წვლილის შეტანა კლუბის განვითარებაში.

მაია ლაპიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა სასიხარულო ინფორმაცია, რომ მისი საკლუბო პროექტი „თანატოლგანმანათლებლები - მდგრადი მომავლისთვის“ გამარჯვებულია სასკოლო ინიციატივების კონკურსში და მოიპოვა გრანტი, რაც მოხმარდება კლუბის მიმდინარე სემესტრის აქტივობებს - ჩატარდება ტრენინგები, კონფერენციები, ამოქმედდება სამაგიდო თამაშების კლუბი, დაფინანსდება აქტიური მოსწავლეების ვიზიტები საგანმანათლებლო და პროფესიულ დაწესებულებებში, შეიქმნება „მშობელთა სკოლა“ და სხვა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ კლუბის აქტიურობა მაღალია. ორ თვეში განხორციელდა ცხრა მნიშვნელოვანი საკლუბო პროექტი, რამაც კლუბს მოუტანა 240 ნერგი (ნერგი კონკურსის შეფასების ინსტრუმენტია). განიხილეს სამომავლო გეგმები და გააზიარეს ნერგების დაგროვებით კონკურსში საპრიზო ადგილის მოპოვების მოლოდინები. შეხვედრის დასასრულ შეთანხმდნენ, რომ სემესტრის ბოლოს შეარჩევენ ყველაზე აქტიურ 8 მოსწავლეს, ვინც დაჯილდოვდება და წარსდგება რეგიონულ კონფერენციაზე.

საქველმოქმედო აქცია სათნოების სახლში



იანვარი სიღარიბის აღმოფხვრის თვეა! ეკოკლუბმა „კამბისენე” გადაწყვიტა, საკუთარი წვლილი შეეტანა ამ რთული პრობლემის აღმოფხვრაში და გაჩუქეს ძველი ნივთები და ტანსაცმელი. საქველმოქმედო აქციის მონაწილეები იყვნენ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები, ეკოკლუბის აქტივისტები და მოხალისეები: ანანო ყაჭაშვილი, კოტე ყოჩიაშვილი, სალო ლაპიაშვილი, სალი ნატროშვილი, მარიამ ქადაგიშვილი, მარიამ ბოსტაშვილი და ანანო გიგაური. მათ მოგროვებული ნივთები სათნოების სახლში ეკოკლუბის ხელმძღვანელ მაია ლაპიაშვილთან ერთად მიიტანეს.

დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარე სათნოების სახლში მსგავსი საქველმოქმედო ღონისძიებები სხვადასხვა სფეროს ორგანიზებით ხშირად ტარდება და ბენეფიციარები უყურადღებობას არ უჩივიან.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

პირველი ქიზიყელი ტრაქტორისტი ქალი

ქიზიყი ჩალაუბნის გადასახვევიდან იწყება. წინათ ამ კუთხეს კამბეჩოვანსაც უწოდებდნენ. ამბობენ, ქიზიყელებს იმდენი კამეჩი ჰყავდათ, მდინარე ალაზანში რომ წვებოდნენ, წყალი ნაპირებიდან გადმოდიოდაო. იქაურების წინაპრები კამეჩებით ხნავდნენ, თესავდნენ და იმკიდნენ მოსავალს, შემდეგ კი კამეჩი ტრაქტორით შეცვალეს და ბარაქიან მიწაზე ხნულებს რკინის ძლიერი მანქანით ავლებდნენ. გლეხკაცის წელში გამმართავ და ქვრივ-ობლების მარჩენალ ტრაქტორს ქიზიყელებმა სიღნაღი-მაღაროს გამყოფ გზაზე ძეგლი დაუდგეს, გვერდით ურემიც მიუყენეს, ვითომ ყველამ კარგად დაინახოს, რანი ვიყავით და რანი გავხდითო.

ქიზიყს კახეთის ორი მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება - სიღნაღი და დედოფლისწყარო. როგორც ჩანს, დედოფლისწყაროელებმა იფიქრეს, თხა თხაზე ნაკლები მგელს შეუჭამიაო და, ზემო ქედის შესასვლელთან მათაც ძეგლად აქციეს რკინის გიგანტი. ამიტომ ქიზიყელები დღესაც ასე სვამენ საკუთარი კუთხის სადღეგრძელოს: - ორ ტრაქტორს შორის მოქცეულ ჩვენს ლამაზ კუთხეს, ქიზიყს გაუმარჯოსო! როგორც გავარკვიეთ, სიღნაღის მუნიციპალიტეტში კვარცხლბეკზე შემდგარი ტრაქტორი საქართველოში პირველ მექანიზატორ ქალს, **ელენე ნატროშვილს** სიცოცხლეშივე მიუძღვნეს. დაფასება და პატივისცემაც ასეთი უნდაო, ამბობენ ქიზიყელები და ელენეს ტრაქტორს იყენებენ, როცა სტუმრისთვის გზის მინიშნება სურთ - „ელენეს ტრაქტორთან მარჯვნივ გადაუხვიე“, „ნატროშვილის ტრაქტორიდან გზა პირდაპირ გააგრძელე და ჩვენს სოფელში მოხვალ“ და ა.შ.

ელენე სოფელ ტიბაანში ცხოვრობდა და კოლმეურნეობაშიც იქვე მუშაობდა. რუსეთ-გერმანიის ომის დროს ტრაქტორზე დაჯდა და ოჯახი რომ ერჩინა, დღედაღამ შრომობდა. ამბობენ, ხშირად ტრაქტორს ჩიხტიკოპით თავშებურული მართავდაო.

ხათუნა ათანელიშვილი, ელენე ნატროშვილის შვილთაშვილი:

- ჩემი დიდი ბებია, ელენე ნატროშვილი რომ გარდაიცვალა, მეექვსე კლასის მოსწავლე ვიყავი. უამრავი შვილიშვილი და შვილთაშვილი ვყავდით და ზედმეტად ბავშვებსაც არ გვეფერებოდა. სოფელ ტიბაანში დიდი სახლი გვქონდა და ყველას საკუთარ ოთახში გვეძინა. ელენე ბაბო თავის ოთახში კი გვიშვებდა ბავშვებს, მაგრამ გვეუბნებოდა, რასაც აიღებთ, იმავე ადგილზე დადეთო. თავისი ნივთების გადაადგილების უფლებას არავის აძლევდა.

1901 წლის პირველ იანვარს სოფელ ოზაანში დაიბადა. მის მშობლებს, მოსე და მაშო ოზაშვილებს 5 ქალიშვილი ჰყავდათ, მაგრამ ელენე ყველასგან გამორჩეული ყოფილა - თამამი, დამოუკიდებელი, თავისებური ხასიათის... მისი ცხოვრების შესახებ წლების წინ ბროშურაც გამოსცეს, სადაც მისი ბავშვობა ასეა აღწერილი: „ზაფხულის ცხელი ხვატი ინვა ოზაანელ გლეხთა ყანებში. გახურებული კალოობა იყო. ისმოდა ყიჟინა და გადაძახილი. მოსეს კალოზე 14 წლის ელენა დამდგარიყო კევრზე და ცხენს ომახიანად ერეკებოდა. ოფლი ნაკადად მოედინებოდა ქალიშვილის თავსაფრით მოჩრდილულ სახეზე. გაგანია სიცხეში ნიავიც არსაიდან იძვროდა. უცებ მეზობელ კალოზე წივილ-კივილი ატყდა, ელენემ კევრი შეაჩერა და შეშფოთებულმა გახედა აჟივჟივებულ კალოს. სიცხისაგან შეწუხებულ ცხენს კევრი აეთრია და მინდორში გავარდნილიყო. დასაჭერად გამოქცეული ხალხის დანახვაზე უფრო გაგიჟდა პირუტყვი, მოტრიალდა და პირდაპირ ჩრდილში მოთამაშე ბავშვებისკენ გავარდა. ვიღაცამ განწირულად იკივლა. ბავშვები ფეხზე წამოცვივდნენ. ზოგი ატირდა, ზოგი კი ენაჩავარდნილი შესცქეროდა მათკენ მომქროლავ დორბლდადენილ ცხენს და, ვიდრე ვაჟკაცები გამოერკვეოდნენ, ცხენთან ტანმაღალი, კაფანდარა ქალიშვილი მიიჭრა, ლაგამს სწვდა და პირუტყვი დაიოკა. როცა მისაშველებლად კაცები მიიჭრნენ, დაინახეს - სახეგაფითრებულ გოგონას დაძაბულობისგან ჩათეთრებული ხელებით მტკიცედ ეჭირა გავეშებული, ახლა კი დადინჯებული და მორჩილი ცხენი. დიდხანს ლოცავდნენ ქალები მოსეს და მაშოს ასეთი შვილის გაზრდისთვის. ამიტომაც, სოფელმა ელენეს „მოსეს ბიჭი“ შეარქვა“.



- ელენე ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, მშობლებს რომ გაუთხოვებიათ...

- 14 წლის იყო, რომ გათხოვდა თავისივე სოფელში, ოზაანში. პირველი მეუღლე მეცხვარე ვასო ყაჭაშვილი ჰყავდა. ვასოს ცხვარი მთაში დაჰყავდა და იქ დამართნია ფილტვების ანთება, რის გამოც მალევე გარდაცვლილა. ორი პატარა შვილი დარჩა - მარიამი (მარო) და პაპაჩემი, მიხეილი. დაქვრივებული ელენე ბაბო შემდეგ სოფელ ტიბაანში ნატროშვილზე გათხოვილა, და ქმრის გვარი მიუღია. მეორე ქორწინებიდან შვილი არ შესძენია, მაგრამ მის ქმარს ჰყავდა პირველი ქორწინებიდან 4 თვის ვაჟი, არჩილი. პაპაჩემსა და არჩილს შორის ასაკობრივი სხვაობა ერთი წელიც არ ყოფილა. ელენე ბაბოს არჩილი ისე უყვარდა, საკუთარი შვილებისგან არ ასხვავებდა. მეორე ქმარიც ფილტვების ანთებით გარდასცვლია და სამი ბავშვი მარტოდმარტოს გაუზრდია.

- სამი შვილი რომ ჰყავდა სარჩენი, ტრაქტორზე მუშაობა ამიტომ გადაწყვიტა?

- ელენე ბაბო სხვა ქალებივით მუშაობდა კოლექტივში. 1941 წელს პაპაჩემი ომში წაუყვანიათ. არჩილს უთქვამს, ჩემი ძმა სამშობლოს იცავს და მე სახლში რა გამაჩერებსო, და ისიც მოხალისედ წასულა ფრონტზე. იმ პერიოდში ელენეს ქალიშვილი უკვე გათხოვილი ყოფილა და ბაბო მარტო დარჩენილა. გაჭირვების წლები იყო, მარტოხელა ქალს თავი უნდა გაეტანა და არჩილის დანატოვარი ცოლ-შვილისთვისაც მიეხედა. როცა კოლმეურნეობაში უთქვამთ, ზურგში საქმიანობა არ უნდა შევწყვიტოთ, ტრაქტორის მართვა ქალებმაც უნდა ისწავლოთო, საქართველოში პირველს ელენეს უთქვამს, მე შემასწავლეთ და ვიმუშავებო. ასე გახდა ელენე ბაბო პირველი მექანიზატორი ქალი საქართველოში. 1941 წელს დაიწყო მუშაობა და 1961 წლამდე ტრაქტორი არ მიუტოვებია. ომიანობის წლებში მარტო სიღნაღის რაიონში თურმე 30 ქალი მართავდა ტრაქტორს.

- შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს მექანიზატორის რთული საქმიანობის შესახებ ბაბო არ გიყვებოდათ?

- სოფლის ხალხისგან მაქვს მოსმენილი ეს ამბავი, თურმე ტრაქტორზე რამდენიმე კაცი იჯდა. ღამით, როცა მათ ეძინათ, ელენე ტრაქტორის შუქებს ანთებდა და ისე მუშაობდაო. მამაკაცები ისეთ პატივს სცემდნენ მშრომელ ქალს, რომ ცუდი არასდროს უკადრებიათ, ეხმარებოდნენ და გვერდში ედგნენ. თურმე მინდორში ტრაქტორისტები ვაგონებში ცხოვრობდნენ. მინდვრიდან დაბრუნებულ ელენეს უამრავი საქმე ხვდებოდა - ვახშამი იყო გასამზადებელი, დასარეცხიც ჰქონდათ ტრაქტორისტებს. შემოდგომაზე წვიმები წამოვიდოდა და ცოტა ხნით შეფერხდებოდა მინდვრის სამუშაო. ასეთ დროს ელენე ბაბო მატყლს ართავდა, წინდებსა და ხელთათმანებს, თბილ შარფებს ქსოვდა, ჩურჩხელებს დაამატებდა და ფრონტზე გზავნიდა.

ბაბო ამბობდა ხოლმე, გოგო-ბიჭებს ისე ვარიგებდი, ვასწავლიდი, ვუხსნიდი, იმდენს ვუყვებოდი მექანიზატორის პროფესიაზე, რომ მათაც ტრაქტორისტობის სურვილი უჩნდებოდათო. ომის პერიოდში და მერეც კახეთში ბევრი ქალი მიუჯდა ტრაქტორს.

ტრაქტორის გაფრთხილება ისწავლეთო, არიგებდა ელენე ბაბო ტრაქტორისტებს, თვითონ არასოდეს გადააგდებდა ტრაქტორის გაცვეთილ ნაწილს, ვინ იცის, როდის დამჭირდებაო. თანდათან დაოსტატდა. მძლავრი მანქანა-ტრაქტორების ცოდნაში ბევრი ვერ შეედრებოდა. თვალდახუჭულს შეეძლო დაეშალა და ისევ უნაკლოდ აეწყო თავისი „რკინის რაში“.

ელენე ბაბოს მთელი სიცოცხლე კაბა ეცვა, შარვალი არასდროს სცმია. თავზე კი ან თავშალი ეხურა, ან ჩიხტიკოპი. ამბობენ, ტრაქტორზე მუშაობის დროსაც არ იცილებდა ჩიხტიკოპსო.

- ქიზიყის შემოსასვლელში, კვარცხლბეკზე მდგარ ტრაქტორზე მუშაობდა ელენე ნატროშვილი?

- ზოგი ამბობს, რომ ბებოს ტრაქტორია და უბრალოდ, მერე გადაღებეს, ზოგი სხვა ტრაქტორისტ ქალს მიაწერს. დაზუსტებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ქიზიყის შემოსასვლელში ტრაქტორი კვარცხლბეკზე ბებიაჩემის პატივსაცემად დადგეს.

ბებოს, 60 წლის რომ გახდა, გრანდიოზული დაბადების დღე გადაუხადეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსკოვიდან ჩამოსული მაღალი თანამდებობის პირები. საქართველოს მთელი მთავრობა ტიბაანში იყო.

ტრაქტორისტობის შემდეგაც არ შეუწყვეტია შრომა ბაბოს, მეძროხეობის ე.წ. კულტურულ ფერმაში დაიწყო მუშაობა. ძროხებს მანამდე უვლიდა, სანამ წლები არ მოემატა და არ დაუძლურდა.

ელენე ბაბო სამი მოწვევის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. სხდომებისა და ყრილობების დროს თბილისიდან უგზავნიდნენ ავტომანქანას და დიდი პატივით მიჰყავდათ, სასტუმროში ასვენებდნენ და შემდეგ თავადვე ჩამოჰყავდათ სოფელში. იქაც შავი კაბითა და ლეჩაქით დადიოდა. ბაბოს გერი შვილი, არჩილი, ომში დაიკარგა. ფეხმძიმე ცოლი დარჩა. არჩილის დაღუპვა მწარედ განიცადა. მაშინ კიდევ ერთხელ ჩაიცვა შავი კაბა და სიკვდილამდე აღარ გაუხდია.

მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტორს შესანიშნავად მართავდა, შლიდა და აწყობდა, ბაბოს საკუთარი ავტომანქანა არ ჰყოლია. მანქანის მართვაც არ იცოდა, თორემ ისე იყო ხელისუფლებისგან დაფასებული, ალბათ, აჩუქებდნენ კიდეც. მის სიცოცხლეში გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, სადაც მეც ვმონაწილეობ. 6 წლის ბავშვი მალაპარაკეს, როგორი სახელოვანი და საამაყო ბაბო მყავდა.

ელენე ბაბო მეოთხე თაობის შთამომავლებს მოესწრო. 1986 წლის აგვისტოში გარდაიცვალა სიბერით. ზაფხული იყო და გვითხრეს, რომ საქართველოს მთავრობასთან ერთად ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც აპირებდნენ დასწრებას, მაგრამ მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდათ დაგეგმილი და მოსკოვიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ. ამის გამო 11 დღე არ დაგვასაფლავებინეს მიცვალებული. ოჯახი ისე გავწამდით, აღარ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა.

უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული. როცა გარდაიცვალა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბალიშები შეაკერინა, მასზედ დაბრძანებული მედლები შემოუწყვეს მიცვალებულს გარშემო და სკოლის მოწაფეები დაუყენეს ყარაულში. როგორც დედაჩემი ამბობს, მერე სიღნაღის რაიკომიდან მოვიდნენ სახლში და ცეკას ხალხი მოიყოლეს. მათ წაიღეს ბაბოს მედლები და სიგელები, თითქოს მუზეუმში, თუმცა ამ ნივთების ასავალ-დასავალი ვეღარ გავარკვიეთ. სოფლის სასაფლაოზე ბაბოს საფლავი სხვებისგან განსხვავებული მხოლოდ იმითაა, რომ ფოტოსურათზეც ჩიხტიკოპი ახურავს.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ეკოლოგიური სათამაშო = ბავშვის უსაფრთხო მომავალს

„სამწუხაროა, მაგრამ არ მგონია, რომ ჩვენს ქვეყანაში სათამაშოების უსაფრთხოება რეგულირდებოდეს. იმ მიდგომას, რომ ძვირიანია სათამაშო და მისი ყიდვა აუცილებლად სჯობს, არ ვემხრობი. ეს ფაქტორი არასდროსაა პრიორიტეტული. ჩემი შვილები პატარები რომ იყვნენ, მათთვის ხის სათამაშოებს ვანიჭებდი უპირატესობას, შეუღებავს, რადგან შეღებილიც შეიძლება მავნე ყოფილიყო. ახლა, როდესაც შედარებით გაიზარდნენ და პირში აღარ იდებენ სათამაშოებს, დიდ ყურადღებას აღარ ვაქცევ, თუმცა, სამ წლამდე ვითვალისწინებდი სათამაშოს ასაკობრივ შეზღუდვას, მცირე ზომის დეტალები რომ არ გადაეყლაპათ ბავშვებს. სხვა ფაქტორებს, ძირითადად არ დავკვირვებივარ. ამჟამად, ჩემი პრიორიტეტი სათამაშოს შეძენისას, მისი ხარისხია. ძალიან პატარა ასაკში, ძირითადად, უსაფრთხოების მიზნით, აფთიაქში ვყიდულობდი სათამაშოებს: რბილ, რეზინის თუ სილიკონის. ჩემთვის, თითქოს, მეტად სანდოა იქ შეძენილი პროდუქცია. იმედია, საქართველოს სააფთიაქო ქსელებში მაინც კონტროლდება პროდუქციის ხარისხი. საბედნიეროდ, სათამაშოსგან გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები არ გვქონია.“

„ყიდვის დროს ყურადღებას ვაქცევ იმას, თუ რომელი ასაკისთვისაა განკუთვნილი სათამაშო, რადგან ასაკობრივი სხვაობის გამო შეიძლება ერთი ბავშვისთვის საზიანო იყოს და მეორესთვის არა. მცირე დეტალებიანი სათამაშოები განსაკუთრებით საფრთხილოა, თუ მას დაუფიქრებლად ვიყიდით. აუცილებლად ვაქცევ ყურადღებას სათამაშოს შემადგენლობას, რადგან ჩემი პატარა შვილი ყველა სათამაშოს შიგთავსით ინტერესდება, ხსნის და ვცდილობ გავაკონტროლო, რაიმე საზიანო არ ჩაიდოს პირში. აუცილებლად ვაკვირდები მწარმოებელ ქვეყანასაც, რადგან ზოგიერთი ქვეყნიდან შემოსული პროდუქცია ხშირად ტყვიის დიდ ოდენობას შეიცავს, რაც საზიანოა ბავშვის ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა, ყოველთვის ვცდილობ შევარჩიო განმავითარებელი სათამაშოები, რომელიც, გართობასთან ერთად, განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ხარისხი ნადვილად მნიშვნელოვანია, რადგან ყოფილა შემთხვევა, სათამაშოს შეძენიდან ძალიან მალე გასვლია ფერი და გაფუჭებულა. საბედნიეროდ, ჯანმრთელობის პრობლემები არასდროს გვქონია სათამაშოს გამო“.

ეს მშობლების მოსაზრებებია, რომლებიც ხშირად არჩევენ სათამაშოებს საკუთარი შვილებისთვის. ყველამ ვიცით, რომ პირველი, რაც ბავშვის გასახარებლად უფროსებს ახსენდებათ - სათამაშოა. ის ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის საყვარელ გასართობს და თავშესაქცევს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ყველაფერი, რაც სათამაშოების სექციების თაროებზე გვხვდება, არ არის უსაფრთხო. ფენოლი, ტყვია, ვერცხლისწყალი, დარიშხანი და სხვა ტოქსიკური და მავნე ნივთიერებები შეიძლება საბავშვო სათამაშოების შემადგენლობაში იყოს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სათამაშოს არჩევას დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ.

სათამაშოში არის პროდუქტები, რომლებიც, დაპროექტებულია ან განკუთვნილია 14 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ სათამაშოდ გამოყენებისათვის, მიუხედავად იმისა, აღნიშნული პროდუქტი დაპროექტებულია ან განკუთვნილია მხოლოდ სათამაშოდ გამოყენებისთვისა თუ არა. მაგ; შემეცნებითი და საექსპერიმენტო სათამაშო ნაკრებები, ფუნქციონალური სათამაშო ფაზლები, სათამაშოს ფორმის ზურგჩანთები, საბავშვო სამაგიდო თამაშები, გასაღების ბრელოკი, რომელსაც სათამაშოს ფორმა აქვს, სათამაშოს ფორმის სათლელი, სათამაშოს ფორმის კალამი, ან რომელსაც სათამაშო აქვს თავზე მიმაგრებული, გასაფერადებელი წიგნები, ხმოვანი წიგნები, ნაჭრის ხმოვანი წიგნები და ა.შ. აღნიშნული ჩამონათვალი არ წარმოადგენს სათამაშოების სრულ სიას, ნებისმიერი პროდუქტის სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების სფეროში მოქცევის საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად.

სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N47 დადგენილებით დამტკიცებული „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“, რომლის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ სათამაშოებზე:

ა) საჯარო გამოყენებისათვის განკუთვნილი სათამაშო მოედნების მოწყობილობები;

ბ) საჯარო გამოყენებისათვის განკუთვნილი, მონეტებზე ან მათ გარეშე მომუშავე ავტომატური სათამაშო მანქანები;

გ) წვის ძრავით აღჭურვილი სათამაშო მანქანები;

დ) სათამაშო ორთქლის ძრავები;

ე) შურდულები და კატაპულტები.

პროდუქტზე აუცილებლად უნდა იყოს დატანილი შემდეგი ინფორმაცია:

1) მწარმოებლის მონაცემები (სახელი, სავაჭრო სახელი ან ნიშანი და ზუსტი მისამართი, სადაც დაკავშირება შეიძლება), პროდუქტის ტიპი, სერია, პარტია და მოდელის ნომერი.

2) პროდუქტს თან უნდა ახლდეს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია და მოხმარების ინსტრუქციები ქართულ ენაზე.

3) პროდუქტზე ან შეფუთვაზე დატანილ უნდა იყოს იმპორტიორის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაცია.

4) პროდუქტზე დატანილი უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნები იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს სათამაშომ. გაფრთხილებები შეიძლება დატანილი იყოს როგორც წარწერების სახით, ისე პიქტოგრამების ან ორივე ერთად.

5) პროდუქტზე ინფორმაცია იმგვარად უნდა იყოს დატანილი, რომ აღსაქმელად და გასარჩევად იყოს მარტივი.

მომხმარებლის უფლებები:

1) მომხმარებელი უფლებამოსილია სავარაუდო საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში, შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს რეაგირებისათვის კონფიდენციალურობის პირობების დაცვით.

2) მომხმარებელს აქვს უფლება მოიხმაროს მხოლოდ ისეთი პროდუქტი, რომელიც უსაფრთხოა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, გარემოსთვის და საკუთრებისთვის.

3) მომხმარებელი უფლებამოსილია სათამაშოებზე დატანილ გამაფრთხილებელ ნიშნებს, ასევე ინსტრუქციას და უსაფრთხო მოხმარების წესებს გაეცნოს სახელმწიფო ენაზე.

4) მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს, ვის მიერ წარმოებულ და იმპორტირებულ სამომხმარებლო პროდუქტს მოიხმარს და საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეს მათთან დაკავშირების შესაძლებლობა.

5) მომხმარებელს აქვს უფლება მოიხმაროს მხოლოდ ისეთი პროდუქტები, რომელიც შემოწმებულია შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, 31 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებულ 77 სათამაშოს დოკუმენტური შემოწმების შემდეგ, რეალიზაცია შეუჩერდა, ტექნიკური შემოწმების საფუძველზე კი, რიგი დარღვევები გამოვლინდა სათამაშო ფრჩხილის ლაქის ნაკრებში, მუსიკალურ სათამაშო ქსილოფონსა და 8 სახეობის ტყლარწში. უფრო კონკრეტულად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შემოწმდა შემოსავლების სამსახურის საბაჟო გაფორმების ეკონომიკური ზონებიდან შემოსული 8146 სათამაშო.

სააგენტოს სტატისტიკის თანახმად, ადგილობრივ ბაზარზე დოკუმენტური შემოწმება ჩაუტარდა 45 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებულ 130 დასახელების სათამაშოს, საიდანაც რეალიზაცია შეუჩერდა 31 ეკონომიკური ოპერატორის მიერ განთავსებულ 77 სათამაშოს, ხოლო 4 ეკონომიკურ ოპერატორს დადასტურებული საფრთხის საფუძველზე დაევალა ბაზარზე განთავსებული 4 სათამაშოს გამოთხოვა. გარდა ამისა, ადგილობრივ ბაზარზე ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა 28 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებულ 71 სათამაშოს.

„8 სათამაშოს შემთხვევაში ველოდებით ლაბორატორიული კვლევის შედეგებს, ხოლო 26 სათამაშოს შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ არსებობს შემდეგი სახის შეუსაბამობები: სათამაშო ფრჩხილის ლაქის ნაკრების (სერია MBK-326, მწარმოებელი MEI BO KAI) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სათამაშო შეიცავს 191.8 მგ/კგ ტყვიას, რაც 95.9-ჯერ აღემატება დასაშვებ ლიმიტს. ეკონომიკურ ოპერატორს დაევალა აღნიშნული სათამაშოს გამოთხოვა; მუსიკალური სათამაშოს ქსილოფონის (სერია/მარკა: frog insects knock xylophone მწარმოებელი - Mut) ლაბორატორიული შემოწმებისას დადგინდა, რომ სათამაშოს ძვრება საღებავი, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს სასუნთქი გზების დახშობა და ბავშვის გაგუდვა, ვინაიდან ქსილოფონი განკუთვნილია სამწლამდე ასაკის ბავშვებისთვის, რომელთა დამახასიათებელი ქცევაა სათამაშოების პირში ჩადება და შესაბამისად, სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშო არ უნდა შეიცავდეს მცირე ზომის ნაწილებს და არ უნდა ძვრებოდეს ისინი;

სხვადასხვა ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 8 ტყლარწის ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული ტყლარწი შეიცავს ბორის მიგრაციის დასაშვებ ნორმაზე მეტ ოდენობას, რომელიც თითოეულ შემთხვევაში 2-ჯერ,10-ჯერ და 30-ჯერაც კი აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. ბორი წარმოადგენს კანცეროგენურ, მუტაგენურ და ტოქსიკური რეპროდუქციის **CMR** ნივთიერებას, რომელიც იწვევს ბავშვის ორგანიზმის გამოუსწორებელ დაზიანებას, როგორიცაა სიმსივნე, მუტაცია ან რეპროდუქციული მოწამვლა. ეკონომიკურ ოპერატორებს დაევალათ აღნიშნული სათამაშოების გამოთხოვა; სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი 13 სხვადასხვა სათამაშოს შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სათამაშოებს ძვრებოდა მცირე ნაწილები. აღნიშნული სათამაშოებია: სათამაშო ქსილოფონი (სერია/მარკა: HP622, მწარმოებელი - HAO PENG DA TOYS FACTORY); სააბაზანო სათამაშო (სერია/მარკა: 111-1 მწარმოებელი - XIONG LI TOYS FACTORY); სათამაშო ქსილოფონი (სერია/მარკა:NO 969-2, მწარმოებელი - PENG SHENG); საჩხაკუნო სათამაშო (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - უცნობი); საჩხაკუნო სათამაშო (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - მეილე ბაბ); სააბაზანო სათამაშო (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - SHFNG DA HONG TOYS); მუსიკალური სათამაშო (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - უცნობი); სათამაშო ქსილოფონი (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - vivi wood toys); საჩხაკუნო სათამაშო (სერია/მარკა: 514, მწარმოებელი -უცნობი); სათამაშო იარაღი (მწარმოებელი: უცნობი, სერია/მარკა 949-32); სათამაშო ქსილოფონი (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - უცნობი); სათამაშო ქსილოფონი (სერია/მარკა: უცნობი, მწარმოებელი - JIAYI toys factory). ეკონომიკურ ოპერატორებს დაევალათ აღნიშნული სათამაშოების ბაზრიდან ამოღება. სათამაშო იარაღების (სერია/მარკა - 320-3, მწარმოებელი - უცნობი); (მწარმოებელი: უცნობი, სერია/მარკა 949-32) ლაბორატორიული შემოწმებისას დადგინდა, რომ იარაღის ტყვიებს ძვრება მცირე ნაწილები, რომლებიც შეიძლება მოხვდეს ბავშვის ხორხში და გამოიწვიოს ზედა სასუნთქი გზების რესპირატორული გართულებები. ეკონომიკურ ოპერატორებს დაევალათ აღნიშნული სათამაშოების ბაზრიდან ამოღება. სათამაშო კარვის (მწარმოებელი - უცნობი, სერია/მარკა - NO.333-164)) ლაბორატორიული შემოწმებისას დადგინდა, რომ სათამაშო კარავზე არ არის დატანილი გამაფრთხილებელი მითითება - „გაფრთხილება - მოარიდეთ ცეცხლს“. ეკონომიკურ ოპერატორს დაევალა აღნიშნული სათამაშოს რეალიზაციის შეჩერება“,- აცხადებენ სააგენტოში.

რაც შეეხება 2020 წლის მონაცემებს, 2020 წლის განმავლობაში სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეამოწმა 109 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 361 სათამაშო. შედეგად, გაიცა რეკომენდაციები ეკონომიკური ოპერატორების საქმიანობის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. „22 სათამაშო გაიგზავნა საზღვარგარეთ არსებულ შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში ქიმიურ შემადგენლობაზე შესამოწმებლად, საიდანაც ორმა მათგანმა, კერძოდ ტყლარწებმა, ვერ დააკმაყოფილა სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები. პირველ შემთხვევაში (მწარმოებელი შპს „გამა“, სერიის ნომერი-762450017573) შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქიმიური ელემენტი ბორის მიგრაცია იყო 1038.52 მგ/კგ, რაც სამჯერ აჭარბებს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის No47 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“ დადგენილ ნორმას. მეორე ტყლარწთან დაკავშირებით დადგინდა, რომ ქიმიური ელემენტის, ბორის, მიგრაცია იყო 537.15 მგ/კგ, რაც ორჯერ აღემატება „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრულ ნორმას“,- აღნიშნულია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ადამიანის განვითარების ფიზიკური, კოგნიტური (ანუ შემეცნებითი) და ფსიქოსოციალური სფეროებიდან, ბავშვის ფიზიკურ განვითარებაში,სენსორული და მოტორული უნარების სტიმულირებისთვის, სათამაშოს ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს. შესაბამისად, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვის მქონე ნივთი, არათუ სასურველი, არამედ, აუცილებელია, იყოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ერთი წელი მეუფე დიმიტრის გარდაცვალებიდან

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს დიმიტრის გარდაცვალებიდან წლისთავზე დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში წირვა ეპარქიის დროებითმა მმართველმა **მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე)** წმინდა სინოდის წევრებთან ერთად ჩაატარა, რის შემდეგაც ეპისკოპოს დიმიტრის საფლავზე მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა. წლისთავისთვის დედოფლისწყაროს ეწვია წმინდა სინოდის 11 წევრი, მათ შორის იყო ჩვენი ეპარქიის ყოფილი ეპისკოპოსი **მელქისედეკ ხაჩიძე**, რომელიც ახლა მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში მსახურობს და თავის დროზე საპატრიარქომ სწორედ მეუფე დიმიტრისა და მეუფე მელქისედეკს გაუცვალა ეპარქიები. პროცესს ესწრებოდნენ: ფოთისა და ხობის **მიტროპოლიტი გრიგოლ გერგიჭაშვილი**; ჭყონდიდის ეპისკოპოსი, **მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი**; ბოდბელი **მთავარეპისკოპოსი იაკობი**; ზუგდიდისა და ცაიშის **მიტროპოლიტი გერასიმე** შარაშენიძე; ხონისა და სამტრედიის **მიტროპოლიტი საბა**; გარდაბნის და მარტყოფის **ეპისკოპოსი იოანე;** სურამისა და ხაშურის **ეპისკოპოსი სვიმეონ ცაკაშვილი**, აგარაკ-წალკის **ეპისკოპოსი გრიგოლ კაცია** და ტიტულარული **მიტროპოლიტი სერაფიმე**.

ღვთისმსახურებას მუნიციპალიტეტის ხელისუფლება და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილიც დაესწრო.

ეპისკოპოსი დიმიტრი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას 2015 წლის იანვრიდან გარდაცვალებამდე მართავდა და 46 წლის ასაკში კორონავირუსთან ბრძოლაში დამარცხდა.!..

მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე: „მეუფე დიმიტრი ერთ-ერთი გამორჩეული ეპისკოპოსი იყო წმინდა სინოდში. მართალია, საკმაოდ ახალგაზრდა წავიდა, მაგრამ ძალიან ბევრის გაკეთება მოასწრო ამ ეპარქიაში. ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა მისი დაკარგვა, მაგრამ უფალმა იცის, ვის როდის წაიყვანს ამ ქვეყნიდან. დავლოცავ დედოფლისწყაროს დაქვრივებულ სამწყსოს და უფალს შევთხოვ, რომ ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს მეუფეს, ჩვენ ყველას კი მოგვცეს ძალა, რომ ღირსეულად გადავიტანოთ ეს ტკივილი. ბოლო დროს ისე ახლოს მოვიდა ადამიანებთან სიკვდილი, რომ ყველას შეგვეხო. ეს ქრისტიანულია, დიდი მამები მუდამ გვეუბნებიან, რომ სიკვდილი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. ამ ქვეყნად ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ სიკვდილის არ გვეშინოდეს. მეუფე დიმიტრი ის ადამიანია, რომელმაც სწორად იცხოვრა და არ შეშინებია სიკვდილის. დარწმუნებული ვარ, ღვთის წინაშე ის გამართლდება და სასუფეველს დაიმკვიდრებს“.

მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი: „დიდი დანაკლისია. ძალიან ახლოს ვიცნობდი, საოცრად გულისხმიერი იყო. თქვენს ეპარქიაში ერთი შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანი გავიცანი, რომელიც ვერ გადაადგილდება, მეუფეს ჩავაბარე და ამ ოჯახს ისე უპატრონა, გაკვირვებული ვიყავი. დიდი ასაკი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ბავშვივით იყო, საოცრად სუფთა, ნათელი პიროვნება იყო. ძალიან დიდ საქმეებს აკეთებდა ეპარქიაში და ვიცი, დედოფლისწყაროელები დამეთანხმებიან. მეუფე სერგის გარდაცვალების შემდეგ ნეკრესის ეპარქიაც მან ჩაიბარა და ამხელა საქმეს აკეთებდა. მალევე უფალმა წაიყვანა. ეს ხომ წმინდა ნინოს მხარეა და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ნინოობის დღეს მივაბარეთ მიწას და ზეციურ სასუფეველში წმინდა ნინო მიეგება. მძიმე დანაკლისია, მაგრამ გვჯერა, რომ სული უკვდავია, ღმერთმა აცხონის და ნათელში დააწესოს მეუფე დიმიტრის უკვდავი სული.“

მონაზონი ანასია: „მეუფე დიმიტრის ჯერ კიდევ სტეფანე ხირსელის მონასტერში მორჩილებიდან ვიცნობდი. საფარაში აღიზარდა, მეუფე თეოდორეს სულიერი შვილი იყო და იქიდან მოჰყვებოდა მას. მეუფე სერგიც მისი მოძღარი იყო. ძალიან განათლებული, ჭკვიანი, კეთილშობილი და უძლიერესი მლოცველი იყო. ისეთი გალობა იცოდა, ანგელოზის მსგავსი ხმა ჰქონდა და მისი გალობა უფალს ესმოდა. უაღრესად კარგი პიროვნება იყო და საუკეთესო თვისებები ჰქონდა“.

არქიმანდრიტი ონოფრე წულაძე: „დიდი ტკივილი მაქვს და მიუხედავად იმისა, რომ მეუფეზე 20 წლით უფროსი ვარ, მაინც დაობლების განცდა დამიტოვა. ამ შემთხვევაში წლებით არ განისაზღვრება და ეს სულიერი მომენტებია, რასაც ეპარქიაში განვიცდით. მე მამა ნაადრევად გარდამეცვალა და დაახლოებით ისეთი განცდა განმიახლდა. მეუფის სულიერი შვილებისთვის ძალიან მძიმე იყო ეს დანაკარგი. რა თქმა უნდა დიდი დანაკლისია, რადგან მეუფემ ბევრი გააკეთა ეპარქიისთვის. ჯერ მხოლოდ სკოლის განვითარება კმარა, ამდენი ბავშვი ხარისხიან განათლებას იღებს. მისი ჩამოსვლის შემდეგ ეკლესია-მონასტრები, ბერ-მონაზვნები, მღვდელ-მონაზვნები გამრავლდა, ეს ყველაფერი მეუფე დიმიტრის დამსახურებაა. ძალიან მძიმეა მისი ამ ქვეყნიდან გასვლა, მაგრამ ღვთის განგებულებით ხდება ყველაფერი. ღმერთმა ასე ინება, ჩვენ რა თქმა უნდა ცრემლს ვღვრით, მაგრამ ღმერთის მიერ დანესებულ კანონებს ვერ შევცვლით. შეგვიძლია მხოლოდ ვილოცოთ მისთვის.“

ზვიად სეხნიაშვილი (ჩოხოსანთა საზოგადოება): „ქიზიყელებს თავი რომ შეაყვარო, ძალიან ძლიერი ადამიანი უნდა იყო. ასე ვიტყოდი, რომ უჩინრად ტკბილი ადამიანი იყო. ღვთისმსახურება იქნებოდა, ქველმოქმედება, თუ ადამიანური ურთიერთობები, ყველაფერში მოკრძალებული იყო. ამხელა იერარქიის წარმომადგენელი, ეპისკოპოსი ასე თავმდაბალი და უბრალო იყო. ძალიან ჩუმად აკეთებდა დიდ საქმეს, რისთვისაც უფალი მოვიდა ამ ქვეყნად და რისთვისაც ღმერთი ეწამა. მეუფე დიმიტრის გარეშე ძალიან გაღარიბდა ეპარქია და ჩვენი ქვეყანა, მაგრამ გამდიდრდა ზეციურად. იქიდან მისი ლოცვა ნამდვილად შეეწევა საქართველოს. პატრიარქის მაგალითზე მე მოძღვრებს ვაფასებ არა მხოლოდ სულიერი მოღვაწეობით, არამედ მამულიშვილობითაც. მეუფე დიმიტრი ერთ-ერთი უდიდესი მამულიშვილი იყო. ზუსტად იცოდა, რა სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და ამისთვის ლოცულობდა, იღწვოდა. მისი დანატოვარი ღვაწლი და საქმეები კიდევ დიდხანს გამოჩნდება. ქიზიყში იმხელა სითბო და სიყვარული დატოვა ამ არაქიზიყელმა კაცმა, ეს კვალი ნამდვილად დაუვიწყარი იქნება“.

მაყვალა მაძღარაშვილი: „სულიერად დიდი დანაკლისი განიცადა დედოფლისწყაროს მრევლმა. ძალიან კარგი ავტორიტეტი ჰქონდა, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა იყო. თითოეულ ადამიანთან კონტაქტში შედიოდა და საოცარი მიდგომა ჰქონდა. შეეძლო ადამიანის სულში და შინაგან სამყაროში ჩაეხედა. მისი პიროვნება ბევრ რამეში მაგალითი იქნება ეპარქიის სკოლის ბავშვებისთვის. თაობები გაიზრდებიან და იამაყებენ მისით, ცხოვრებაში ხშირად გამოიყენებენ მის მაგალითს. მინახავს, როგორ იდგა მეუფე ხარაჩოებზე სამუშაო ფორმით, დასვრილი კაბით, სიცხესა და სიცივეში თავად მუშაობდა. ცდილობდა ეპარქიის სკოლა რაც შეიძლება სწრაფად განვითარებულიყო“.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

რა მოხდა ფერმაში და როგორ გადაურჩა მწყემსი სიკვდილს?

დედოფლისწყაროს ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში ახალგაზრდა მწყემსს მუცლის ტკივილები აწუხებდა. 28 დეკემბერს ვითარება გაუსაძლისი გახდა, რის გამოც სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი გამოიძახეს. სასწრაფომ მწყემსი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანა. 30 წლის ლევან ჯამრულიძის ოჯახი „შირაქს“ ეუბნება, რომ ადგილზე ჩაუტარდა მუცლის ღრუს ექოსკოპიური და ლაბორატორიული კვლევები, თუმცა მეორე დღეს პაციენტი ჯანმრთელად ცნეს და გაწერეს. რამდენიმე საათში მისი მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, სასწრაფო ოპერაციული ჩარევა გახდა საჭირო.

მწყემსი ახმეტის სოფელ ქვემო ალვანში ცხოვრობს, დედოფლისწყაროში სამუშაოდ ზამთრის სეზონზე ჩამოდიოდა. საავადმყოფოდან გაწერისთანავე მან ოჯახის წევრებს ტელეფონით აცნობა, რომ თავს ისევ ცუდად გრძნობდა და ფერმაში არ დაბრუნდებოდა. ლევანი ტაქსით ჯერ თბილისში, შემდეგ რუსთავში, დასთან გაემგზავრა. როგორც ჯამრულიძეები „შირაქს“ უყვებიან, მგზავრობისას მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და გონება დაკარგა, რის გამოც ტაქსი გზაში გაჩერდა და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში შეყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თორმეტგოჯა ნაწლავი რამდენიმე დღის გახეთქილი იყო და სამ ლიტრზე მეტი ჩირქი ამოიღეს.

„გზაში ტკივილებს ვერ უძლებდა, შეყვანისთანავე გაუჩერდა თირკმელი და ნაწლავები არ ფუნქციონირებდა. რუსთავის კლინიკაში შეყვანისთანავე გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთდა. გადარჩენის იმედს არც გვაძლევდნენ იმდენად მძიმე ვითარება იყო. შემდეგ ჩირქი რომ ამოუღეს, ორგანოები გაასუფთავეს და გაკერეს. დედოფლისწყაროს სტაციონარში ლაბორატორიული და ექოსკოპიური კვლევები ჩაუტარდა, თუმცა ჯანმრთელად ცნეს. არც ანალიზებში ჰქონდა ცვლილება და არც ექოზე გამოჩნდა ჩირქი. ამიტომაც მალევე გამოწერეს. სულ ერთი თვის ჩამოსული იყო დედოფლისწყაროში. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ტკივილები აწუხებდა, ეგონა უბრალოდ მუცელი სტკიოდა და გამაყუჩებლებს სვამდა. ხანაც მინდორში არყით იყუჩებდა ტკივილს და ბოლოს ექიმებმა გვითხრეს, არაყს რომ სვამდი, ამან გადაგარჩინა, დეზინფექცია მოხდაო. მადლობა ღმერთს, დროული რეაგირება მოესწრო და ძმა გადამირჩინეს... აღარ ვჩივით არაფერს, იანვარში სტაბილურად არის, ჩივილს აღარ ვაპირებ, იმედი გვაქვს გამოვძვერით და მის სიცოცხლეს აღარაფერი ემუქრება,“ – უთხრა „შირაქს“ პაციენტის დამ, მადონა ჯამრულიძემ.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ადასტურებენ, რომ პაციენტი მათთან შევიდა და შესაბამისი კვლევებიც ჩაუტარდა. ვანო ნატროშვილი ამბობს, რომ საკითხს სწავლობენ და კლინიკას შესაბამისი რეაგირება ექნება. ექოსკოპისტი ნუცა ალუღიშვილი ამბობს, რომ ექოსკოპია მწყემსს თავად ჩაუტარა და გასტროსკოპიის ჩატარების რეკომენდაცია მისცა, რაც ადგილზე არ კეთდება. მისი თქმით, – „კომპეტენტურ უწყებებთან, ვინც აღნიშნულით ინტერესდება, პასუხს ვაგებთ. დავინახე გასტროსკოპიის აუცილებლობა, რადგან უფრო საფუძვლიანად გამოკვლეულიყო მისი მდგომარეობა,“ - თქვა ექოსკოპისტმა.

ნაზი მოსაშვილი, ილია ბიკაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები იუწყებიან
ნათელა გონაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს გოდერძის და შვილებს: გია და ეკა გონაშვილებს.

ჯემალი და ინაზი კოტაშვილების ოჯახი სამძიმარს უცხადებს გოდერძი, გია და ეკა გონაშვილებს მეუღლის და დედის
ნათელა ჯალიაშვილ-გონაშვილის
გარდაცვალების გამო.

ომარ ალადაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ნონა ნიკოაშვილი, გენადი ნასრაშვილი, სოსო გოგაშვილი, დათო რობიტაშვილი, მზია ბარბაქაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ნათელა ჯალიაშვილ-გონაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გოდერძი, გია და ეკა გონაშვილებს, რძალს – ეკა პოლიკაშვილს, სიძეს - გოგიტა ხარაზიშვილს, შვილიშვილებს: დათოს, გოდერძის, სანდროს და მარიამს.

ოლიკო ბროძელი, დალი ბენაშვილი, ნათელა ლაპიაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი და ვლადიმერ კიკილაშვილი იუწყებიან თანაკლასელის
ნუნუ ოზაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მურად და ლალი ოზაშვილების ოჯახს.

მარინე, გურამი, ვანო მოლაშვილები იუწყებიან ლილი ნათლიის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მიშიკოს - დედის, და ყველა ახლობელს
ლილი თეგაშვილი-ბოსტოღანაშვილის
გარდაცვალების გამო.

მონატრება

ვაჟა მჭედლიშვილი



ერთი წელია უშენოდ ვცხოვრობთ, ჩემო ერთგულო მეუღლევ. ეს ხომ დიდი სატანჯველია, ყოველი დღე შენს მოლოდინში თენდება და ღამდება. მუდამ იმედით ავსებდი ჩვენს ოჯახს. ის სიხარული, რაც შემოგქონდა, სადღაც გაქრა. არ მჯერა, რომ აღარ დაბრუნდები. მეგონა დაუმარცხებელი იყავი, ვერაფერი მოგერეოდა, მაგრამ ვცდებოდი. სიცოცხლე მიჭირს შენს გარეშე, ჩემო ვაჟა. მთელი ცხოვრება ჩემთვის, შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის მთავარი საყრდენი იყავი, სასიცოცხლო ენერგიის მთავარი წყარო. ღირსების, ვაჟკაცობისა და ადამიანურობის იშვიათ მაგალითს ავლენდი ბოლო ამოსუნთქვამდე. მეამაყება, რომ ჩემი მეუღლე იყავი. შენი შვილების დედობა რომ მარგუნა ბედმა, რაც დიდ ძალას მმატებს ახლაც. გამორჩეული იყავი კეთილი გულით, ალალი და უანგარო, უბოროტო კაცი, რომელმაც ისე იცხოვრე, რომ შენს ნაკვალევს მცირე ჩრდილიც ვერ მიადგა. შენს მიერ გაცემული სიკეთე ცხოვრებაში ყოველთვის გზას გაუნათებს შენს შვილებსა და შვილიშვილებს. შენს სახელზე სანთელი მუდამ ანთია შენს ოჯახში, ჩემს მიერ დანთებული სანთლები გზას გაგინათებს მარადიული სასუფევლისკენ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩემო ვაჟა!

მეუღლე: მაყვალა ლაპიაშვილი, შვილები ხათუნა და დიმა მჭედლიშვილები ოჯახებით.

გლახო ოზბეთელაშვილი



27 იანვარს 40 ტკივილიანი დღე გავიდა. დაგვტოვა და ნავიდა ზეციურ სასუფეველში. თან გაიყოლა ყველა იმ ადამიანის სიყვარული, ვინც მას იცნობდა. გლახო ოზბეთელაშვილი დაიბადა 1941 წლის 22 აპრილს, დამთავრა ზოოვეტერინალური ინსტიტუტი და 1974 წლამდე მუშაობდა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში, ხან მეღორეობის, ხან მეძროხეობის ფერმის ბრიგადირად. 1974 წლიდან მუშაობდა სოფ. გამარჯვების ხორცკომბინატში სასაკლაოს გამგედ, სადაც იმუშავა 15 წელი. ამის შემდეგ მუშაობა გააგრძელა კერძო სტრუქტურაში, სადაც მძიმე ავადმყოფობამდე იმუშავა.

ჰყავს სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი, რომელთაც პაპა ძალიან უყვარდათ და ენატრებათ.

ღრმა მწუხარებით, მეუღლე და შენი დიდი ოჯახი

ქართული კულტურის დღეები სტამბულში

საშობაოდ თურქეთის დედაქალაქში ქართული კულტურის დღეები ჩატარდა, სადაც ქართული დელეგაცია იმყოფებოდა, მათ შორის კახეთის რეგიონიდან. ღონისძიებებს რამდენიმე დღის განმავლობაში სტამბოლში მოქმედმა ქართული ენის ცენტრმა უმასპინძლა. შობას კი იქ მოქმედი ქართული ტაძარი მოილოცეს. დედოფლისწყაროდან იმყოფებოდნენ მხატვარი ბელა ლობჯანიძე და მირზაანის ნიკო ფიროსმანის მუზეუმის მმართველი დალი აბაშიძე. ასევე გაიმართა „საქართველოს ქალბატონების" დაჯილდოების წერემონია. კულტურის დღეები თურქეთ–საქართველოს მეგობრობის 30 ნლისთავთან დაკავშირებით შედგა.

ხელოვან ქალბატონებს კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის გადაეცათ მედლები და თბილისი-სტამბულის „მეგობრობის ხიდის" დიპლომი.

სტამბულში ქართული ენის ცენტრი რვა წელია ფუნქციონირებს. ამის შესახებ „შირაქს" ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე ეკა ნადირაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ცენტრის შექმნის იდეა ეშრეფ ილმაზს ეკუთვნის, რომელიც ქართული წარმომავლობისაა და მისი ქართული გვარი და სახელია – გოდერძი მახარაძე.

კონსტანტინეპოლის ქართული სამრევლო - სტამბოლის ედირნექაფის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დაარსებულია ყოვლადუწმიდესი მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს მიერ 2020 წლის 12 ივლისს, წინამძღვარია მსოფლიო საპატრიარქოს საყდრის არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა. ეკლესიაში წირვა მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

ბელა ლობჯანიძე: „ჩვენი მონაწილეობით სტამბულში ქართული კულტურის დღეები საოცარი და დაუვიწყარი იყო. „საქართველოს ქალბატონებთან" და საოცარ ბავშვებთან ერთად. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლეილა ლეგაშვილს ჩემი მიწვევისთვის, ასეთი საოცარი და ლამაზი დღეებისთვის, რომელიც გვაჩუქა. წარმოდგენილი მქონდა სამი ნამუშევარი, რომელიც „ქართული კულტურის დღეების" ფარგლებში ღონისძიების პარალელურად, საგამოფენო სივრცეში გამოიფინა. უდიდესი მადლობა აკადემია „გვირილა"-ს ხელმძღვანელს ერნა წიფურიას, სტამბოლში მოქმედ „ქართული ენის ცენტრს" ასეთი სითბოსთვის და გულთბილი დახვედრისთვის. ღონისძიებაზე საპატიო სტუმრად მიწვეული იყვნენ თურქეთის საკონსულო და სხვა ოფიციალური პირები. ჩვენი დელეგაცია დიდი მისიით იყო წასული. საღამომ წარმატებით და დიდი ოვაციებით ჩაიარა. მოწონება დაიმსახურა ჩვენმა შემოქმედებამ. ემოციების ზღვა და საინტერესო მოგზაურობა იყო, ბევრი სითბო და სიყვარული, ნაყოფიერი და წარმატებული დღეები, საინტერესო გარემო დაგვხვდა. ქრისტეშობის დღეს ვესტუმრეთ, კონსტატინეპოლის წმინდა გიორგის ტაძარს, სამრევლოს წინამძღოლმა არქიმანდრიტმა ილია ჯინჯოლავამ გაგვაცნო ტაძრის სამრევლოს ისტორია, უპასუხა ჩვენს კითხვებს და ტრაპეზით გვიმასპინძლა.

დალი აბაშიძე: „თურქეთში ვიყავი ასოციაცია „საქართველოს ქალბატონების" მიწვევით, რადგან მონიჭებული მაქვს „საქართველოს ქალბატონის" ტიტული. სხვადასხვა დონის შეხვედრები გვქონდა დიასპორასთან, მათ შორის ქართული ენის ცენტრში, პირადად მე ამ ცენტრის დირექტორს საჩუქრად გადავეცი ფიროსმანის ალბომი, რომელშიც ნიკალას ნახატების ორიგინალებია თავმოყრილი და ფიროსმანის შემოქმედების შესახებ ბევრ ინფორმაციას მოიცავს. ვფიქრობ, თურქეთში ქართული ენის ცენტრში ამ ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვანი იქნება. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს დელეგაციაში ბელაც იყო.მან სხვა შემოქმედებით ჯგუთან ერთად გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და აღაფრთოვანა ადგილობრივი დამთვალიერებელი. გამოფინა 3 ნამუშევარი, მათ შორის იყო ფიროსმანის პორტრეტი".

ეკა ნადირაშვილი (სტამბულის ქართული ენის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე): „საღამოს ორასზე მეტი ემიგრანტი ესწრებოდა, ასევე ადგილობრივი ეთნიკური ქართველები. დაჯილდოვდა 12 ემიგრანტი, რომელსაც ჯილდო გვირილას აკადემიამ გადასცა. სწორედ მათი ორგანიზებული იყო ეს ყველაფერი. უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას ლამაზი საღამოსთვის. მადლიერი ვარ თითოეული მონაწილის, შუა კონსტანტინეპოლში მართლაც ცეცხლი დაანთეს. ასევე გაიმართა ქართველი მხატვრების ნახატების გამოფენა და ხელნაკეთი, თექაზე შესრულებული ნამუშევრების წარდგენა, გულწრფელად გითხრათ, მათმა ნამუშევრებმა აქ მოსული საზოგადოება ნამდვილად გააოცა.

ქართული ენის ცენტრში მობრძანებულმა კახეთის დელეგაციამ საჩუქრად გადმოგვცა თექაზე შესრულებული ჩვენი სიმბოლიკა, ქართულ-თურქული დროშებით გაფორმებული. ასევე მინანქარზე შესრულებული სუვენირი, ამოქარგული „დედა ენის" წიგნი გვაჩუქეს. გადმოგვეცა ასევე ფიროსმანის ალბომი. ჩვენც გადავეცით დიპლომები და სითბო და სიყვარული, უდიდესი ემოციები გავცვალეთ".

ლეილა ლეგაშვილი: „ეს იყო, დიდი ემოციების, კეთილი განცდების, მეგობრობისა და ურთიერთობების ზეიმი. შობის დღეს კახეთიდან წმინდა გიორგის მოოქროვილი ხატი მივაბრძანეთ სტამბოლის უკვდავი, ძველი კონსტანტინეპოლის გალავნების გულში აღმოცენებულ ქართულ ტაძარში. ვნახეთ ფერწერული ტილოების, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენით აღფრთოვანებული დამთვალირებელი. სცენაზე დანთებული „ქართული სული". ცეცხლოვანი ცეკვები, ქართული „დაისი" და ქართული დროშა...ემოციებით ატირებული და ლაღიძის „თბილისოზე" ამღერებული დარბაზი... ჩვენს ბავშვებთან აცელქებული და აცეკვებული „გურჯები"... „ცრემლები?! - რამდენიც გინდა" - გამორჩეული, ყველაზე ლამაზი ბიჭების მიერ ჩუმად, სიყვარულით „გამხელილი" ქართველობა, ბედკრული ისტორიის შედეგი - ქართული გენის ვერ წაშლა და მის ფესვებზე აღმოცენებული საჯიშე ბიჭების ამაყი და თავდაუზოგავი მომსახურეობა, მოფერება სტუმრად ჩასული „თავისიანების" მიმართ".

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

დათო ნაბროშვილს!

საოცარი სითბოთი და სიკეთით სავსე ჩვენს უახლოეს მეგობარს, სოფ. ზემო მაჩხაანში გამორჩეულ, ერთ-ერთ საუკეთესო გამგებელს, რომელიც, სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირების რწმუნებულს რობიზონ იაკობიშვილს (ყაჩაღას) ყოველთვის მხარში ედგა პროფკავშირების მიერ გამართული პროექტების განხორციელებაში. დათო, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, 60 წლისთავს. წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს გისურვებთ.

უახლოესი მეგობრების სახელით, ნანა ჭიჭინაძე და ნანა აფციაური

ბაჩუკი გონაშვილს და ლია კობაიძეს!

უდიდეს ქველმოქმედებს, ქალბატონ ლიას და ბატონ ბაჩუკის, გულწრფელად ვულოცავთ ფრიად განსწავლული, ულამაზესი შვილების, და–ძმის, ნატალია გონაშვილის და ნიკოლოზ ახვლედიანის, ბიძინა გონაშვილის და თაკო მნათობიშვილის გაბედნიერებას. ახალგაზრდა წყვილებს ვუსურვებთ სიყვარულით აღსავსე მტკიცე, ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნას.

უღრმესი პატივისცემით,
დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა

მადლიერება

ზამთრის არდადეგები, როგორც ყოველთვის ამჯერადაც გაგვილამაზა პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა **მაყვალა მაძღარაშვილმა**. საბავშვო ბაღების თანამშრომლებმა ვისარგებლეთ პროფკავშირის შესანიშნავი საჩუქრით და დავისვენეთ ბაკურიანში. კმაყოფილი ვართ როგორც კარგი მომსახურეობით, ისე კვებით. ჩვენი დასვენება ასევე უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტირებით, რისთვისაც გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ მაყვალას ასეთი დაუვიწყარი დღეებისთვის. პროფკავშირის თანადგომას ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ და ისინი მუდმივად გვანებივრებენ, როგორც საზაფხულო, ისე ზამთრის კურორტებზე სპეციალური შეთავაზებებით.

პატივისცემით:
სამრეკლოს, გამარჯვების და ზემო ქედის საბავშვო ბაღების თანამშრომლები

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 30.01	სამშაბათი 31.01	ოთხშაბათი 01.02	ხუთშაბათი 02.02	პარასკევი 03.02	შაბათი 04.02	კვირა 05.02
დღე	7°	3°	7°	4°	5°	6°	6°
ღამე	–4°	–4°	–4°	–4°	-6°	-4°	-3°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი